



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N10/2

2023 წლის 2 მარტი

ქ. თბილისი

ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ 69⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს:

ა) ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების ხელშეკრულების პირობები (სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობის შემთხვევაში) დანართ N1-ში მოცემული რედაქციით;

ბ) ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების ხელშეკრულების პირობები (სისტემის ოპერატორის ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში) დანართ N2-ში მოცემული რედაქციით;

2. ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებმა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (ოფიციალურად გაცნობიდან) 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყონ მათ ოფიციალურ ვებგვერდზე და მომსახურების ცენტრებში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაცხადის ფორმისა და საყურადღებო ინფორმაციის განთავსება.

3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), მისი ოფიციალურად გაცნობიდან (მხარისათვის ჩაბარებიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში.

5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტრონერგეტიკის დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი



**ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მცირე სიმძლავრის
ელექტროსადგურის მიერთების ხელშეკრულება**

(სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობის შემთხვევაში)

ქ. თბილისი
- წ.

20-

ერთი მხრივ, „_____“, წარმოდგენილი „_____“ სახით, (შემდგომში „სისტემის ოპერატორი“)

და

მეორე მხრივ, „_____“, წარმოდგენილი „_____“ სახით (შემდგომში „მიერთების მსურველი“), შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც - „მხარეები“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

„ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილების (შემდგომში „გამანაწილებელი ქსელის წესები“) 69^ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ხელშეკრულება უნდა მომზადდეს კომისიის მიერ დამტკიცებული პირობების გამოყენებით. შესაბამისად მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

I. ზოგადი დებულებები და ხელშეკრულების საგანი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემუშავებულია „გამანაწილებელი ქსელის წესების“, „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომში - კანონი) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონითა და „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ განსაზღვრული მნიშვნელობა.

1.3. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება „გამანაწილებელი ქსელის წესებითა“ და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

1.4. ბათილია ხელშეკრულების დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება „გამანაწილებელი ქსელის წესებს“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, სისტემის ოპერატორის მიერ არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნის უზრუნველყოფა მისაერთებელი ელექტროსადგურის ტექნიკურ მოთხოვნებთან და ამ მიზნით საჭირო სამუშაოების შესრულება, ასევე სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის, საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძისა და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობა, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის განსაზღვრული მიერთების წერტილის (ქსელის მზადყოფნის) საფასურისა და სისტემის ოპერატორის ქვესადგურში უჯრედის მოწყობისთვის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების გამანაწილებელი ქსელის წესებით გათვალისწინებული მეორე ეტაპის საფასურის (შემდგომში - მიერთების საფასური) გადახდის სანაცვლოდ.

II. არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნასთან დაკავშირებული საკითხები

3. ქსელის მზადყოფნისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება და ქსელის მზადყოფნის დადასტურება

3.1. სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიერთების საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში საკუთარი ხარჯით შეასრულოს არსებული გამანაწილებელ ქსელში საჭირო ყველა ის აუცილებელი სამუშაო (არსებული გამანაწილებელ ქსელის რეკონსტრუქციის/გაძლიერების სამუშაოები), რაც საჭიროა გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად მისაერთებელი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის (შემდგომში - მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური) ტექნიკურ მოთხოვნებთან. სისტემის ოპერატორი ასევე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მოაწყოს მიერთების უჯრედი, საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძი და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი.

3.2. სისტემის ოპერატორი მას შემდეგ, რაც შეასრულებს ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას, წერილობით მიმართავს მიერთების მსურველს და აცნობებს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთებისთვის საჭირო, არსებული გამანაწილებელ ქსელის მზადყოფნის და სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის, საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძსა და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაურთოს:

ა) შეთავაზების ფარგლებში გაცემული ტექნიკური პირობით გათვალისწინებული, გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნისთვის, აგრეთვე სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის, საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძსა და III დონის

SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობისთვის საჭირო სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სამუშაოების დასრულების აქტი);

3.3. მიერთების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია არსებული გამანაწილებელი ქსელის მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურთან თავსებადობის და უშუალოდ დამაკავშირებელი ქსელის ვარგისიანობისა და გამტარუნარიანობის შესახებ, აგრეთვე სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის, საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძსა და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობის შესახებ, თუ არსებობს ამ გარემოების დამატებით დაზუსტების საჭიროება;

3.4. მიერთების საფასურის სანაცვლოდ, სისტემის ოპერატორის მიერ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მზადყოფნის დადასტურება გულისხმობს სისტემის ოპერატორის ვალდებულებას, უზრუნველყოს გამანაწილებელი ქსელის თავსებადობა (მზაობა) მისაერთებელ ელექტროსადგურის ტექნიკურ მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის კონკრეტული სამუშაოების ტექნიკური პირობით გათვალისწინების შემთხვევაში), გამანაწილებელი ქსელში შესაბამისი სამუშაოების შესრულების დადასტურებას, მათ შორის შეცვლას, შეკეთებას, აშენებას, შეძენას ან/და დამონტაჟებას შესაბამისი საშუალებების.

3.5. სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულების შემდეგ ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის, ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 3 წლის განმავლობაში მზადყოფნაში ჰქონდეს არსებული გამანაწილებელი ქსელი იმგვარად, რომ ავარიული რეჟიმის გარდა ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მოთხოვნილი პარამეტრებით გამანაწილებელ ქსელთან მიერთება.

4. მიერთების საფასური და მისი გადახდის პირობები

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიერთების საფასური წესების შესაბამისად შეადგენს „_____“ ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული საფასურის სანაცვლოდ, სისტემის ოპერატორი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე შეასრულოს არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნისთვის საჭირო სამუშაოები, აგრეთვე სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მოაწყოს მიერთების უჯრედი, საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძი და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი.

4.2. გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მსურველი ვალდებულია სისტემის ოპერატორს სრულად გადაუხადოს მიერთების საფასური ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. მიერთების საფასურის სრულად გადახდამდე სისტემის ოპერატორს უფლება აქვს, არ დაიწყოს არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნის სამუშაოები.

4.4. თუ მიერთების მსურველმა ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის ვადაში სრულად არ გადაიხადა მიერთების საფასური - მხარეები უნდა შეთანხმდნენ გადახდის დამატებითი ვადის განსაზღვრაზე, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

4.5. თუ ამ ხელშეკრულების 4.4 პუნქტში მითითებული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ მიერთების საფასური მაინც არ იქნა გადახდილი, - შეთავაზება (ასევე - ტექნიკური

პირობა) და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება. აღნიშნულის თაობაზე მიერთების მსურველს ეცნობება წერილობით.

5. სისტემის ოპერატორის მიერ ამ ხელშეკრულების ვადაში მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები

5.1. სისტემის ოპერატორი ვალდებულია მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთებისთვის საჭირო არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნა უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. აგრეთვე ამავე ვადაში სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მოაწყოს მიერთების უჯრედი, საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძი და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი. ამასთან, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიერთების მსურველს გადაუხადოს მიერთების მეორე ეტაპის საფასურის 50%. მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში სისტემის ოპერატორის მიერ ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიერთების მსურველს განმეორებით გადაუხადოს მიერთების მეორე ეტაპის საფასურის 50%.

5.2. მიერთების მსურველისთვის, სისტემის ოპერატორის მიერ ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა, არ ათავისუფლებს მას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების პირობები

6.1. მიერთების მსურველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 3 წლის განმავლობაში მიერთების საფასურის განმეორებით გადახდის გარეშე მოსთხოვოს სისტემის ოპერატორს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის საჭირო ტექნიკური პირობის განახლება და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება არ განხორციელდა მიერთების მსურველის მიზიზით და არსებობს ამის ობიექტური გარემოება.

6.2. ამ ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია უფასოდ გასცეს ახალი ტექნიკური პირობა. ახალი ტექნიკური პირობა შესაძლებელია შეიცავდეს თავდაპირველად გაცემული ტექნიკური პირობისგან განსხვავებულ დასაბუთებულ მოთხოვნებს შეუსრულებელი სამუშაოების ნაწილზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია შეცვლილი გარემოებებით და ტექნიკური აუცილებლობით. არსებულ გამანაწილებელ ქსელში შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურება წარმოადგენს მიერთების მსურველის ვალდებულებას. ამასთან, დაუშვებელია ტექნიკური პირობა შეიცავდეს არსებული გამანაწილებელი ქსელის გაძლიერების, აღდგენის ან/და მოწესრიგების ვალდებულებებს.

III. სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები

7. სამუშაოების წარმოების წესი და პირობები

- 7.1. სისტემის ოპერატორის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობის, ასევე ახალ უჯრედზე საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძისა და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობას ახორციელებს სისტემის ოპერატორი. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის საჭირო ყველა სხვა სამუშაოს ახორციელებს მიერთების მსურველი საკუთარი ხარჯით. სისტემის ოპერატორის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონება წარმოადგენს მის საკუთრებას და პასუხისმგებელია მის ექსპლუატაციას.
- 7.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას ტექნიკური პირობით გათვალისწინებული სამუშაოები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნების დაცვით.

8. ტექნიკური პროექტის მომზადება და შეთანხმება

- 8.1. მიერთების მსურველი ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან „_____“ თვის ვადაში სისტემის ოპერატორის მიერ გაცემული ტექნიკური პირობისა და მიერთების ხელშეკრულების შესაბამისად მოამზადოს ტექნიკური პროექტი და ამავე ვადაში წარუდგინოს იგი, როგორც სისტემის ოპერატორს, ისე - გადამცემი სისტემის ოპერატორს შესათანხმებლად.
- 8.2. ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტრული ნაწილის გამანაწილებელ ქსელთან თავსებადობის შესახებ საპროექტო დოკუმენტაციას და განმარტებით ბარათს.
- 8.3. სისტემის ოპერატორი მიერთების მსურველის მიერ წარდგენილ ტექნიკურ პროექტს განიხილავს და ითანხმებს „გამანაწილებელი ქსელის წესების“ 69⁹ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად.
- 8.4. მიერთების მსურველი, ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას განახორციელებს, მხოლოდ ტექნიკური პროექტის სისტემის ოპერატორსა და, გადამცემი სისტემის ოპერატორთან შეთანხმების შემდგომ.

9. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთება და ექსპლუატაციაში გაშვება

- 9.1. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება, დანადგარების ტესტირების და საექსპლუატაციოდ გამზადების ჩათვლით, უნდა მოხდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.
- 9.2. მიერთების მსურველი მას შემდეგ, რაც შეასრულებს მიერთების ტექნიკური პირობითა და შეთანხმებული ტექნიკური პროექტით განსაზღვრულ სამუშაოებს, წერილობით მიმართავს სისტემის ოპერატორს და აცნობებს გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მზადყოფნის შესახებ, რომელსაც უნდა ერთვოდეს „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
- 9.3. სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ამ ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული მიერთების მსურველის მიერთების მზადყოფნის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შეამოწმოს მიერთების მსურველის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების „გამანაწილებელი ქსელის წესებთან“, მიერთების ტექნიკურ პირობასთან და შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობა.
- 9.4. სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიერთების მსურველს განუსაზღვროს გონივრული ვადა შესაბამისობის შემოწმებისას აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, რომელთა გამოსწორების შემდეგ მიერთების მსურველი ხელახლა უგზავნის სისტემის ოპერატორს მიერთების მზადყოფნის შესახებ შეტყობინებას.

9.5. მიერთების მსურველის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების „გამანაწილებელი ქსელის წესებთან“, მიერთების ტექნიკურ პირობასთან და შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობის შემოწმების დადებითი შედეგით დასრულების შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ დადგენილ ვადაში გასცემს შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ქსელში ჩართვის ტექნიკურ დოკუმენტს) და ტესტირების რეჟიმში ჩართავს მიერთების მსურველის ელექტრომოწყობილობა-დანადგარებს.

IV. დამატებითი პირობები

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება და მისი შეწყვეტის პირობები

10.1. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დადებული მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.2. მიერთების ხელშეკრულების მხარეებს უფლება არ აქვთ, დაუსაბუთებლად განაცხადონ უარი მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები ვერ შეთანხმდნენ მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდაზე და არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის სისტემის ოპერატორს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდის მოთხოვნით, ხელშეკრულებით და „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია, შეთავაზებაში მოცემული ვადები (მათ შორის ტექნიკური პირობის მოქმედების ვადა) შეუსაბამოს ხელშეკრულების ამ ახალ ვადებს.

10.5. თუ მიერთების მსურველი მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას, სისტემის ოპერატორს უნდა აუნაზღაუროს ამ მოთხოვნის შესრულებიდან გამომდინარე ფაქტობრივი დანახარჯები (ფაქტობრივი ზიანი), ხოლო სისტემის ოპერატორმა უნდა დაუბრუნოს მიერთების მსურველს გადახდილი საფასური, ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული ვალდებულებების გაქვითვის შემდეგ.

10.6. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება არ განხორციელდა განმცხადებლის (მიერთების მსურველის) მიზეზით და არ არსებობს აღნიშნულის გამომწვევი ობიექტური გარემოება, განმცხადებელი (მიერთების მსურველი) ვალდებულია, ხელახლა მიმართოს განაცხადით სისტემის ოპერატორს და ხელახლა გაიაროს „გამანაწილებელი ქსელის წესების“ XVI¹ თავით განსაზღვრული ყველა პროცედურა, მათ შორის ახლიდან გადაიხადოს მიერთების მეორე ეტაპით გათვალისწინებული საფასური.

11. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. მხარეები ეცდებიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით.

11.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან კომისიას (მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სადავო საკითხების განხილვის ფარგლებში).

12. დამატებითი პირობები

12.1. „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ დადგენილი პირობები წარმოადგენს, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.2. მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ კეთილსინდისიერების, მხარეთა ურთიერთთანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით. მხარეები ვალდებულნი არიან მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან (კონსულტაციის გაწევით, ურთიერთდახმარებით და სხვ.) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სათანადოდ შესრულების მიზნით.

12.3. თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია იურიდიული მისამართ(ებ)ის შეცვლის ან მისამართის (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის) დამატების შესახებ, რაც სავალდებულოა მეორე მხარისათვის მიწოდების მომენტიდან.

12.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მიმოწერა (კორესპონდენცია) შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართებზე. მატერიალური ფორმით გაგზავნილი კორესპონდენცია მიღებულად ითვლება განსაზღვრულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან, ხოლო ელექტრონული ფორმით გაგზავნილის - ტექნიკური საშუალებით კორესპონდენციის მიღების დადასტურების მომენტიდან.

12.5. მხარეები თანხმდებიან, იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და პროცედურებით, იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული წესებით ან კომისიის მიერ დადგენილი სხვა აქტებით.

13. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „_____“ წლის ჩათვლით.

14. მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა

14.1. მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება

მატერიალური ფორმით (მისამართზე)

სისტემის ოპერატორი: _____

მიერთების მსურველი: _____

ელექტრონული ფორმით (მისამართზე): _____

სისტემის ოპერატორი: _____

მიერთების მსურველი: _____

მხარეთა რეკვიზიტები:

შენიშვნა: ამ ხელშეკრულებაში, „_____“ სიმბოლოთი აღნიშნულია შესავსები ადგილები.

ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მცირე სიმძლავრის
ელექტროსადგურის მიერთების ხელშეკრულება

(სისტემის ოპერატორის ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში)

ქ. თბილისი
- წ.

20-

ერთი მხრივ, „_____“, წარმოდგენილი „_____“ სახით, (შემდგომში „სისტემის
ოპერატორი“)

და

მეორე მხრივ, „_____“, წარმოდგენილი „_____“ სახით (შემდგომში „მიერთების
მსურველი“), შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც - „მხარეები“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

„ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ
საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული
კომისიის (შემდგომში - კომისია) 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილების (შემდგომში
„გამანაწილებელი ქსელის წესები“) 69^ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის
თანახმად, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების
ხელშეკრულება უნდა მომზადდეს კომისიის მიერ დამტკიცებული პირობების
გამოყენებით. შესაბამისად მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი
პირობებით:

I. ზოგადი დებულებები და ხელშეკრულების საგანი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მცირე სიმძლავრის
ელექტროსადგურის მიერთების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“)
შემუშავებულია „გამანაწილებელი ქსელის წესების“, „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების
შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომში - კანონი) და საქართველოში მოქმედი
კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონითა და „გამანაწილებელი
ქსელის წესებით“ განსაზღვრული მნიშვნელობა.

ს. 1501 / 1501

1.3. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება „გამანაწილებელი ქსელის წესებითა“ და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

1.4. ბათილია ხელშეკრულების დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება „გამანაწილებელი ქსელის წესებს“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, სისტემის ოპერატორის მიერ არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნის უზრუნველყოფა მისაერთებელი ელექტროსადგურის ტექნიკურ მოთხოვნებთან და ამ მიზნით საჭირო სამუშაოების შესრულება, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის გამანაწილებელი ქსელის წესებით განსაზღვრული მიერთების წერტილის (ქსელის მზადყოფნის) საფასურის (შემდგომში - მიერთების საფასური) გადახდის სანაცვლოდ. ასევე, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის საჭირო გამანაწილებელი ქსელის ინფრასტრუქტურის მოწყობა (მათ შორის, მიერთების მსურველის მიერ არსებულ გამანაწილებელი ქსელში ელექტროგადამცემი ხაზის შეჭრის, მისი მიერთების მსურველის კუთვნილ ქვესადგურამდე მიყვანისა და ქვესადგურში შესვლა-გასვლის მოწყობის სამუშაოების განხორციელება).

II. არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნასთან დაკავშირებული საკითხები

3. ქსელის მზადყოფნისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება და ქსელის მზადყოფნის დადასტურება

3.1. სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიერთების საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, საკუთარი ხარჯით შეასრულოს არსებულ გამანაწილებელ ქსელში საჭირო ყველა ის აუცილებელი სამუშაო (არსებული გამანაწილებელ ქსელის რეკონსტრუქციის/გადლიერების სამუშაოები), რაც საჭიროა გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად მისაერთებელ ელექტროსადგურის (შემდგომში - მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური) ტექნიკურ მოთხოვნებთან.

3.2. სისტემის ოპერატორი, მას შემდეგ რაც შეასრულებს ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას, წერილობით მიმართავს მიერთების მსურველს და აცნობებს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთებისთვის არსებული გამანაწილებელ ქსელის მზადყოფნის შესახებ, რომელსაც თან უნდა დაურთოს:

ა) შეთავაზების ფარგლებში გაცემული ტექნიკური პირობით გათვალისწინებული, გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნისთვის საჭირო სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სამუშაოების დასრულების აქტი);

3.3. მიერთების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია არსებული გამანაწილებელი ქსელის მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურთან თავსებადობის და უშუალოდ დამაკავშირებელი ქსელის ვარგისიანობისა და გამტარუნარიანობის შესახებ, თუ არსებობს ამ გარემოების დამატებით დაზუსტების საჭიროება;

3.4. მიერთების საფასურის სანაცვლოდ, სისტემის ოპერატორის მიერ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მზადყოფნის დადასტურება გულისხმობს სისტემის ოპერატორის ვალდებულებას, უზრუნველყოს გამანაწილებელი ქსელის თავსებადობა (მზაობა) მისაერთებელ ელექტროსადგურის ტექნიკურ მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის კონკრეტული სამუშაოების ტექნიკური პირობით გათვალისწინების შემთხვევაში), გამანაწილებელი ქსელში შესაბამისი სამუშაოების შესრულების დადასტურებას (მათ შორის შესაბამისი საშუალებების შეცვლის, შეკეთების, აშენების, შეძენის ან/და დამონტაჟების განხორციელების შესახებ).

3.5. სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის, ასევე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 3 წლის განმავლობაში, მზადყოფნაში ჰქონდეს არსებული გამანაწილებელი ქსელი იმგვარად, რომ ავარიული რეჟიმის გარდა ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მოთხოვნილი პარამეტრებით გამანაწილებელ ქსელთან მიერთება.

4. მიერთების საფასური და მისი გადახდის პირობები

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიერთების საფასური წესების შესაბამისად შეადგენს „_____“ ლარს დღგ-ს ჩათვლით. აღნიშნული საფასურის სანაცვლოდ, სისტემის ოპერატორი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე შეასრულოს არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნისთვის საჭირო სამუშაოები.

4.2. გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მსურველი ვალდებულია სისტემის ოპერატორს სრულად გადაუხადოს მიერთების საფასური ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. მიერთების საფასურის სრულად გადახდამდე სისტემის ოპერატორს უფლება აქვს, არ დაიწყოს არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნის სამუშაოები.

4.4. თუ მიერთების მსურველმა გადამცემ ქსელზე მიერთების თაობაზე ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის ვადაში სრულად არ გადაიხადა მიერთების საფასური - მხარეები უნდა შეთანხმდნენ გადახდის დამატებითი ვადის განსაზღვრაზე, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

4.5. თუ ხელშეკრულების 4.4 პუნქტში მითითებული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ მიერთების საფასური მაინც არ იქნა გადახდილი - შეთავაზება (ასევე - ტექნიკური პირობა) და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება. აღნიშნულის თაობაზე მიერთების მსურველს ეცნობება წერილობით.

5. სისტემის ოპერატორის მიერ ამ ხელშეკრულების ვადაში მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები

5.1. სისტემის ოპერატორი ვალდებულია მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთებისთვის საჭირო არსებული გამანაწილებელი ქსელის მზადყოფნა უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. ამასთან, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიერთების მსურველს გადაუხადოს მიერთების მეორე ეტაპის საფასურის 50%. მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში

სისტემის ოპერატორის მიერ ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია, მიერთების მსურველს განმეორებით გადაუხადოს მიერთების მეორე ეტაპის საფასურის 50%.

5.2. მიერთების მსურველისთვის, სისტემის ოპერატორის მიერ ამ ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა, არ ათავისუფლებს მას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების პირობები

6.1. მიერთების მსურველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 3 წლის განმავლობაში მიერთების საფასურის განმეორებით გადახდის გარეშე, მოსთხოვოს სისტემის ოპერატორს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის საჭირო ტექნიკური პირობის განახლება და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება არ განხორციელდა მიერთების მსურველის მიზეზით და არსებობს ამის ობიექტური გარემოება.

6.2. ამ ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია უფასოდ გასცეს ახალი ტექნიკური პირობა. ახალი ტექნიკური პირობა შესაძლებელია შეიცავდეს თავდაპირველად გაცემული ტექნიკური პირობისგან განსხვავებულ დასაბუთებულ მოთხოვნებს შეუსრულებელი სამუშაოების ნაწილზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია შეცვლილი გარემოებებით და ტექნიკური აუცილებლობით. არსებულ გამანაწილებელ ქსელში შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ხარჯის ანაზღაურება წარმოადგენს მიერთების მსურველის ვალდებულებას. ამასთან, დაუშვებელია ტექნიკური პირობა შეიცავდეს არსებული გამანაწილებელი ქსელის გაძლიერების, აღდგენის ან/და მოწესრიგების ვალდებულებებს.

III. ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრასთან დაკავშირებული საკითხები

7. სამუშაოების წარმოების წესი და პირობები

7.1. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის საჭირო გამანაწილებელი ქსელის ინფრასტრუქტურის მოწყობა (მათ შორის, სისტემის ოპერატორის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის შეჭრის, ქვესადგურამდე მიყვანისა და ქვესადგურში შესვლა-გასვლის მოწყობის სამუშაოებს, ასევე, ელექტროგადამცემი ხაზის მთლიანობის აღსადგენად საჭირო სახაზო-საკომუტაციო მოწყობილობების შეძენასა და მონტაჟს), ახორციელებს განმცხადებელი (მიერთების მსურველი). განმცხადებელი (მიერთების მსურველი) ასევე ახორციელებს საკუთარ ქვესადგურში უჯრედების, აღრიცხვის კვანძისა და I და III (ელექტროგადამცემი ხაზის უჯრედში) დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის მოწყობას (მონტაჟს). აღნიშნულ პუნქტში შესრულებული სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონება წარმოადგენს გამანაწილებელ ქსელს და მის ექსპლუატაციას განახორციელებს სისტემის ოპერატორი, ხელშეკრულების 9.1 პუნქტის პირობების გათვალისწინებით.

7.2. მიერთების მსურველი ვალდებულია ტექნიკური პირობით გათვალისწინებული სამუშაოები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნების დაცვით.

8. ტექნიკური პროექტის მომზადება და შეთანხმება

8.1. მიერთების მსურველი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან „_____“ თვის ვადაში, სისტემის ოპერატორის მიერ გაცემული ტექნიკური პირობისა და მიერთების ხელშეკრულების შესაბამისად, მოამზადოს ტექნიკური პროექტი და ამავე ვადაში წარუდგინოს იგი, როგორც სისტემის ოპერატორს, ისე - გადამცემი სისტემის ოპერატორს შესათანხმებლად.

8.2. ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტროგადამცემ ხაზში განსახორციელებელი შეჭრის შედეგად ასაშენებელი ელექტროგადამცემი ხაზის, უჯრედი/უჯრედების, აღრიცხვის კვანძისა და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის მუშა პროექტს, ასევე მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტრული ნაწილის გამანაწილებელ ქსელთან თავსებადობის შესახებ საპროექტო დოკუმენტაციას და განმარტებით ბარათს.

8.3. სისტემის ოპერატორი მიერთების მსურველის მიერ წარდგენილ ტექნიკური პროექტს განიხილავს და ითანხმებს „გამანაწილებელი ქსელის წესების“ 69^მ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად.

8.4. მიერთების მსურველი, ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას განხორციელებს, მხოლოდ ტექნიკური პროექტის სისტემის ოპერატორსა და, გადამცემი სისტემის ოპერატორთან შეთანხმების შემდგომ.

8.5. იმ შემთხვევაში, ტექნიკური პირობით გათვალისწინებულ მიერთების მსურველის მიერ განსახორციელებელ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო რაიმე სახის თანხმობის ან ნებართვის მიღება დამოკიდებულია სისტემის ოპერატორის მოქმედებაზე, სისტემის ოპერატორი ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში შესაძლოდ მოკლე ვადაში მიაწოდოს მიერთების მსურველს ელექტროგადამცემი ხაზის (გამანაწილებელი ქსელის) მშენებლობაზე ნებართვის მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაცია.

9. ელექტროგადამცემი ხაზის შეჭრის შედეგად შექმნილი ქონების საკუთრებისა და ექსპლუატაციის საკითხი

9.1. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის განხორციელებული შეჭრის შედეგად აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი, უჯრედი, აღრიცხვის კვანძი და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი განეკუთვნება გამანაწილებელ ქსელს და წარმოადგენს „_____“ (სისტემის ოპერატორის/მიერთების მსურველის) საკუთრებას. ამასთან, აღნიშნული ქონების მიერთების მსურველის საკუთრების შემთხვევაში, იგი მფლობელობაში უნდა გადაეცეს სისტემის ოპერატორს, დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

9.2. სისტემის ოპერატორის საექსპლუატაციო პასუხისმგებლობა ვრცელდება გამანაწილებელ ქსელში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზში განხორციელებული შეჭრის შედეგად აშენებული ელექტროგადამცემი ხაზის, უჯრედის, აღრიცხვის კვანძისა და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტზე, ხოლო სხვა ყველა ელექტრომომწოდებლობა-დანადგარს, ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების შესაბამისი ნორმების დაცვით, ფლობს და ექსპლუატაციას უწევს მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური.

9.3. მიუხედავად იმისა, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენს, ხელშეკრულების 9.1 პუნქტში მოცემული, ახლად შექმნილი გამანაწილებელი ქსელი, სისტემის ოპერატორის მიერ მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით, აღნიშნული ქსელის ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს სისტემის ოპერატორმა. წინააღმდეგ

შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია ჩახსნას აღნიშნული გამანაწილებელი ქსელი.

10. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთება და ექსპლუატაციაში გაშვება

10.1. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება, დანადგარების ტესტირების და საექსპლუატაციოდ გამზადების ჩათვლით, უნდა მოხდეს მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

10.2. მიერთების მსურველი მას შემდეგ, რაც შეასრულებს მიერთების ტექნიკური პირობითა და შეთანხმებული ტექნიკური პროექტით განსაზღვრულ სამუშაოებს, წერილობით მიმართავს სისტემის ოპერატორს და აცნობებს გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მზადყოფნის შესახებ, რომელსაც უნდა ერთვოდეს „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

10.3. სისტემის ოპერატორი ვალდებულია ამ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული მიერთების მსურველის მიერთების მზადყოფნის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შეამოწმოს მიერთების მსურველის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების „გამანაწილებელი ქსელის წესებთან“, მიერთების ტექნიკურ პირობასთან და შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობა.

10.4. სისტემის ოპერატორი ვალდებულია მიერთების მსურველს განუსაზღვროს გონივრული ვადა შესაბამისობის შემოწმებისას აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, რომელთა გამოსწორების შემდეგ, მიერთების მსურველი ხელახლა უგზავნის სისტემის ოპერატორს მიერთების მზადყოფნის შესახებ შეტყობინებას.

10.5. მიერთების მსურველის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების „გამანაწილებელი ქსელის წესებთან“, მიერთების ტექნიკურ პირობასთან და შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობის შემოწმების დადებითი შედეგით დასრულების შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ დადგენილ ვადაში გასცემს შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ქსელში ჩართვის ტექნიკურ დოკუმენტს) და ტესტირების რეჟიმში ჩართავს მიერთების მსურველის ელექტრომოწყობილობა-დანადგარებს. ამასთან, მიერთების მსურველის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ქსელში ჩართვის სისტემის ოპერატორი ვალდებულია გაითვალისწინოს ხელშეკრულების 9.3 პუნქტში მოცემული პირობა.

IV. დამატებითი პირობები

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება და მისი შეწყვეტის პირობები

11.1. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დადებული მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.2. მიერთების ხელშეკრულების მხარეებს უფლება არ აქვთ, დაუსაბუთებლად განაცხადონ უარი მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები ვერ შეთანხმდნენ მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდაზე და არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის სისტემის ოპერატორს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდის მოთხოვნით, ხელშეკრულების და „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ დადგენილი პირობების შესაბამისად.

11.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდის შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი ვალდებულია, შეთავაზებაში მოცემული ვადები (მათ შორის ტექნიკური პირობის მოქმედების ვადა) შეუსაბამოს ხელშეკრულების ამ ახალ ვადებს.

11.5. თუ მიერთების მსურველი მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას, სისტემის ოპერატორს უნდა აუნაზღაუროს ამ მოთხოვნის შესრულებიდან გამომდინარე ფაქტობრივი დანახარჯები (ფაქტობრივი ზიანი), ხოლო სისტემის ოპერატორმა უნდა დაუბრუნოს მიერთების მსურველს გადახდილი საფასური ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეული, აღნიშნული ვალდებულებების გაქვითვის შემდეგ.

11.6. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება არ განხორციელდა განმცხადებლის (მიერთების მსურველის) მიზეზით და არ არსებობს აღნიშნულის გამომწვევი ობიექტური გარემოება, განმცხადებელი (მიერთების მსურველი) ვალდებულია, ხელახლა მიმართოს განაცხადით სისტემის ოპერატორს და ხელახლა გაიაროს „გამანაწილებელი ქსელის წესების“ XVI¹ თავით განსაზღვრული ყველა პროცედურა, მათ შორის ახლიდან გადაიხადოს მიერთების მეორე ეტაპით გათვალისწინებული საფასური.

12. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. მხარეები ეცდებიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით.

12.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან კომისიას (მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სადავო საკითხების განხილვის ფარგლებში).

13. დამატებითი პირობები

13.1. „გამანაწილებელი ქსელის წესებით“ დადგენილი პირობები წარმოადგენს, ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2. მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ კეთილსინდისიერების, მხარეთა ურთიერთთანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით. მხარეები ვალდებულნი არიან მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან (კონსულტაციის გაწევით, ურთიერთდახმარებით და სხვ.) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სათანადოდ შესრულების მიზნით.

13.3. თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია იურიდიული მისამართ(ებ)ის შეცვლის ან მისამართის (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართის) დამატების შესახებ, რაც სავალდებულოა მეორე მხარისათვის მიწოდების მომენტიდან.

13.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მიმოწერა (კორესპონდენცია) შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართებზე. მატერიალური ფორმით გაგზავნილი კორესპონდენცია მიღებულად ითვლება განსაზღვრულ მისამართზე ჩაბარების

მომენტიდან, ხოლო ელექტრონული ფორმით გაგზავნილის - ტექნიკური საშუალებით კორესპონდენციის მიღების დადასტურების მომენტიდან.

13.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას დამატებით გააფორმებენ შეთანხმებას გამანაწილებელ ქსელში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზში განხორციელებული შეჭრის შედეგად აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი, უჯრედი, აღრიცხვის კვანძი და III დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი (გამანაწილებელი ქსელის) სისტემის ოპერატორის მფლობელობაში სავალდებულოდ გადაცემასთან დაკავშირებით. სისტემის ოპერატორისთვის აღნიშნული გამანაწილებელი ქსელის იჯარის ფორმით მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულება დამატებით უნდა შეიცავდეს შეთანხმებას გამანაწილებელი ქსელის გეგმურ და ავარიულ სარემონტო და კაპიტალურ სამუშაოებზე.

13.6. მხარეები თანხმდებიან, იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებითა და პროცედურებით, იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული წესებით ან კომისიის მიერ დადგენილი სხვა აქტებით.

14. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „_____“ წლის ჩათვლით.

15. მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა

15.1. მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება

მატერიალური ფორმით (მისამართზე)

სისტემის ოპერატორი: _____

მიერთების მსურველი: _____

ელექტრონული ფორმით (მისამართზე): _____

სისტემის ოპერატორი: _____

მიერთების მსურველი: _____

მხარეთა რეკვიზიტები:

შენიშვნა: ამ ხელშეკრულებაში, „_____“ სიმბოლოთი აღნიშნულია შესავსები ადგილები.